სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

26/01/2024

MES 5 24 0000076687

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 7.3. პუნქტის შე საბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები (დანართი).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის დამტკიცების თაობაზე" სტუ-ს რექტორის 2018 წლის 14 მაისის №01-09-10/85 ბრძანება.
3. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

5. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით